



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 9
04/03/2021

9-06-4-202103041444



ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ობიექტების მდგომარეობის შესახებ მიღებული იქნას ცნობად. /დანართი თან ერთვის/
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ (მერი ავთანდილ უგრეხელიძე, მერის მოადგილე მიხეილ მეშველიანი), შესაბამისი სამსახურის და ა(ა)იპ-ების საქმიანობა წარმართოს მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მუშაობის სრული დატვირთვის და შესაბამისი ღონისძიებათა პროგრამების სწორად განხორციელების მიზნით. დაისახოს ღონისძიებები სპორტული ობიექტების მოვლა პატრონობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარმოდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო